

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-  
რაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე  
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე  
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дрoвнa“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—  
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.  
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50კ., 4 თვ.—4 მ., 3  
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-ღვინო მარშაბათს ბარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე  
8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი  
დი 25 მანათი; პირველი 50 მ. რედაქციაშივე  
ნებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვა-  
ლობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გააწარმებს და შეამოკ-  
ლებს დასაბუჯად გამოცხადებულ წერილებს. დაუბუჯად წერი-  
ლებს რედაქცია ვერ დაუბუჯებს ავტორს.

Объявления изъ Россiи, Царства Польскаго и за-  
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.  
Л. Метцль, Москва, Петровка, № 6.

## შეკრები № 61-ი გამომკა აგვისტოს 17

### სურამიდან წერილის გამო

თბილისი, აგვისტოს 15-ს.

ღღვეანდელ ნომერში მკითხველი  
წაკითხავს წერილს სურამიდან და  
შენიშნავს მასში ახალს გამოლაშქრებას  
რკინის-გზებზედ და ყოველსავე იმა-  
ზედ, რაც დაწვევლილმა მეროპამ  
შემოგვიტანა. ეს წერილი დაბეჭდეთ  
ჩვენ, ქვემოდაც შენიშვნა გაუუკეთეთ  
და მასზედ სჯა საჭიროდ დაინახეთ  
იმით, რომ იგი ნიშანია ჩვენშია  
იმ მიმართულების აღორძინებისა, რომ-  
მელმაც (მიმართულებამ) თითქმის  
ყოველს განათლებამი ფეხ-ჩადგმულ  
ქვეყანაში იჩინა თავი და მრავალი  
მომხრეც შეიძინა. ამ მიმართულების  
მომხრეთ ისე ჰგონიათ, ახალი რამ  
ვთქვით და ჩვენს ქვეყანას უსამზღვრო  
სამსახური მოუტანეთო, მაგრამ მათ  
აეიწყებოთ რომ მათზე ადრე, ძა-  
ლიანაც ადრე, რამდენიმე ათასის წლის  
წინად იგივე სთქვა ჩინეთის ხალხმა,  
თავის სიტყვას საქმეც მოაყოლა და  
უზარმაზარი კედელი ამართა რომ-  
გორც ბარბაროსებისაგან თავის დახსნი-  
სათვის, ისე უცხო გავლენის ასაცი-  
ლებლად.

რა თქმა უნდა, რომ დროა და  
გარემოებამ თავისი ჰქნა და ვერც ჩი-  
ნეთი, ვერც იმის მიმბაძავი ქვეყნები  
და პარტიები ვერ გადაურჩენ დაწვევ-  
ლილი მეროპის დაწვევლილ ცივი-  
ლიზაციას: ცხოვრებაში ნათელმა  
უნდა ბნელსა სძლიოს და საუკეთესო  
გამოგონებამ, რომელიც ადამიანს  
ცხოვრებას უადვილებს, უნდა დაიჭი-  
როს ადგილი უფრო სუსტი გამოგონ-  
ებისა. ეს ისეთი ბუნების კანონია,  
რომლის წინააღმდეგნი ქარის წისკვი-  
ლებთან საომრად გასულს ღონი-  
ხოტს ემზავებებიან.

ან თუნდ წარმოვიდგინოთ, რომ  
ჩინეთის კედლების თანამგრძობელთ  
თავისი გაიტანეს და მოგვაშორეს  
რკინის გზებიც, ცეცხლის გემებიც,  
ტელეგრაფებიც. მითომ ამით ისინი  
ჩვენს ხალხს გააბედნიერებენ და გა-  
ჭირვებას ააცილებენ. სპარსეთში რომ-  
მელი რკინის გზებია, რომ ხალხს  
თითქმის პერიოდულად სამს წელი-  
წადში ერთხელ აიძვლილი სწყვეტავს.  
რკინის-გზები ხალხს უადვილებენ საზ-  
ღვას მიწოდებას იქ, სადაც ნაკლებად  
არის იქიდან, სადაც იგი ქარბობს.  
ამისთანა ცხადს საანბანო კემპარი-  
ტებას ნუ თუ უარ-ჰყოფენ ისინი, ვინც  
სხვა-და-სხვა გამოგონებებს ემშაქის  
მანქანებთან ჰხადიან და ხალხს უქადა-  
გებენ შორს ჩვენგან რკინის-გზებიც,

ტელეგრაფებიც, ცეცხლის-გემები-  
ცაო.

სურამიდან წერილის ავტორს რომ  
ჰკითხოთ, მიზეზი იმიტომ არის კე-  
თილ-ღღვეობაში და ძახეთში მამულე-  
ბი იმიტომ არ ეცლებათ პატრონებს  
ხელიდან, რომ იქ რკინის გზა არ  
არის და მართლში კი რკინის-გზამ  
ხალხი გარყვნა, გაღარბა, წელში  
მოსდრიკა, მამულეები ხელიდან გა-  
მოაცალაო.

ჯერ ერთი ესა რომ ავტორი  
ცოტა სცდება და ფაქტებს ერთმანეთ-  
ში უთავბოლოდ ურევს. რკინის-გზა  
იმერეთს, ბურთას და სამეგრელოს  
შუაზედა სჭრის და რომელ ქვეყანა-  
შია ხალხი ისეთი მოყვარული თავის  
მამულ-ღღვეულისა როგორც იმერეთ-  
ში და სამეგრელოში; რომელი ხალხია  
ისეთი ამაყი, გაგებული როგორც  
გურულები? ან რომელი ლოკომო-  
ტივები დადიან მეფის-კარდანანში, რა  
ქარხნის რელსები აწყვიდა თელავის  
არე-მარეში, რომ....

მიზეზები თუ მდიდრები არიან  
ქართლებზედ, ეს იმიტომ რომ  
იქ მიწა ბლომად არის და გლეხს  
მეტი საქონლის გაჩენა შეუძლიან;  
ქიზიყელები თუ პირდაპირნი, სიტყვის  
ამსრულებელნი და თავის-თავის პა-  
ტივის-მცემნი არიან, ეს იმიტომ რომ  
მათ მონობის უღელი კისრად არა  
სდებიან. აქ რკინის-გზა რა შუაშია,  
რომ ქართლებების სიღარიბე, ან  
სულით დაცემა მას დავებრალთ.  
ნუ კი ეწყინება ავტორს და მისი მსჯე-  
ლობა მოგვაგონებს მოლიერის ტყუი-  
ლი ექიმის მსჯელობას, რომელიც  
ყოველის ავადმყოფობის მიზეზს ფილ-  
ტრებში ეძებდა. ძაცს თავი სტკივა—  
მიზეზი ფილტვებია; ფეხები სტკივა—კი-  
დეფ ფილტვები; კუჭი სტკივა—კიდევ  
და კიდევ ფილტვები!—მართლებები  
დაჩაგრულები არიან—რკინის-გზაა  
დამნაშავე; ღარიბია—დამნაშავე კიდევ  
რკინის-გზაა, მოკრძალებულია კიდევ  
და კიდევ რკინის გზა... მაგრამ კმარა  
ამაზედ ჯერ-ჯერობით ლაპარაკი. მალე,  
იქნება დღეს-ხვალაც, ამავე საგანზედ  
უფრო დალაგებული ლაპარაკი დაგე-  
ჭირდეს და ესლა კი იმას შენიშნავთ  
მხოლოდ რომ პატივცემულ «მალა-  
როელს» უფრო მტკიცე საბუთებით  
შეჭურვა მართებდა, თუ კი იმისთანა  
სამთვალა ვეშაბთან ბრძოლას აპი-  
რობდა, რომელსაც ლოკომოტივი  
ჰქვიან.

### შინაური ქრონიკა

მუშინწინ დილით, სამშაბათს,  
აგვისტოს 13, ჩამობანდა თბილისში

მთავარ-მმართველი თ. ღონდუკო-  
ძორსაკოვი თავის უკანასკნელი მოგ-  
ზაურობის გათავების შემდეგ.

მუშინ ჩამოვიდა თბილისში აგრეთ-  
ვე საქართველოს ექსარხოსი მარტყო-  
ფილამ მარიამობა დღეს სიონის სო-  
ბოროში საწირავად.

ამ დღეებში სამხედრო მინისტრი  
მოგა ზღვით ბათუმში ამ ქალაქის სი-  
მაგრეების დასათვალისწინებლად

სამეგრელოში, ახალ სენაკის  
მახლობლად, ჩრდილოეთის მხრით,  
მალაღს მთაზედ 1857 წლამდე იყო  
საზაფხულო ბინა ხობის მონასტრის  
წინამძღვრისა და კრებულთა. ამ ად-  
გილს უწოდებენ სახარბედიოს აქ  
იყო ერთი პატარა ეკლესია წმიდის  
ზიორგის სახელზედ და სახლები კრე-  
ბულთათვის; 1857 წ. გარდაცვალე-  
ბისაგან ხობის მონასტრის წინამძღ-  
ვრისა, ბინა მოიშალა, საკრებულო  
სახლები დაინგრა და დარჩა იქ მხო-  
ლოდ პატარა ეკლესია უჩინოდ. 1866  
წელს მოვიდა ერთი დედა-კაცი გურჯი-  
ამ სახელად სალომე თადეგირიძის  
ასული, სასულიერო მთავრობის ნება-  
რთვით უჩინოდ დარჩენილი ადგილი  
სახარბედიო მყუდრო სამყოფად გარ-  
დაქმნა; სხვებმაც მოიყარეს აქ თავი  
და ამ ქვამდ ეს ეკლესია უმადლესს  
მთავრობას დედათა მონასტრად დაუმ-  
ტკიცებია.

მ. მღვთიდან (ღუშეთის მაზ-  
რა) იწერებიან, რომ აგვისტოს 5-ს  
იკურ მედუქნეს შ. ნ—ძეს კი ვაჟ-  
კაცობა ჩაუდენია: თურმე, ამ სო-  
ფელს რამდენიმე ხანია შეეჩვია ერთი  
დათვი და საქონელს საშინლად აჩა-  
ნაგებდა; ბევრჯერ მოერტყათ თოფის  
ტყვია, მაგრამ ვერა დაეკლოთ-რა. ამ  
ბოლოს დროს იგი შეპარებულა მე-  
დუქნის შ. ნ—ძის დერეფანში, საი-  
დამაც დაჩეუული ყოფილა ხარისა და  
ცხენის წაყვანას, მაგრამ ხარის, ან  
ცხენის მაგიერად იქ ნ—ძის ორ-ლუ-  
ლიანი თოფი დახვედრია. შ. ნ—ძეს  
ორივე ტყვია მკერდში დაუხლია, მაგ-  
რამ მინც ვერ დემორჩილა; დათვი  
გაცხარებულა, უკანა ტოტებზედ შემ-  
დგარა და დუქნის დერეფნის ბოძი და-  
კველი დაუნგრევია. შ. ნ—ძეს ხან-  
ჯალი ამოულია, მივარდნია დათვს,  
ორივე უკანა ფეხის წვივებში დაუჭ-  
რია, ერთხელ მუცელშია ცაუკრავს  
და დათვი უსულოდ მიწაზედ დაცე-  
მულა. როცა გაუტყავებიათ დათვი,  
ტყაში თერთმეტი ტყვია ამოულიათ  
უწინდელი ნაკრავი.

სოფ. წვედამ (შორაპნის მაზ-  
რა) გეტყობინებენ, რომ იქ ჩვეუ-  
ლებად ყოფილა იარმუკობის დროს

რაც კარვის ფული შემოდის, წვეის  
წმ. ზიორგის ეკლესიას შესწირონ  
ხოლომ ადგილის პატრონებმა. თუმცა  
წელს და შარშან კარვის ფული 300  
მანათამდე შესულა, მაგრამ ეკლესიის  
არა რგებია-რა. ხალხს მინც ნუ ახ-  
დევინებენ ამ ფულს, თუ კი თავის  
დანიშნულებას ვერ ახმარებენო, ამ-  
ბობს კორესპონდენტი.

სოფ. ბურჯანაიდან გვწერენ,  
რომ იქ მეტის-მეტად გახშირებულა  
ბოსტნებში, ხილის ბაღებში და ვე-  
ნახებში ქურდობა და ადგილობრივი  
სოფლის მოხელენი სრულიად ყურად-  
ღებას არ აქცევენო.

აგვისტოს 9 ს მე-5, 6 და 8  
ნაწილში თბილისის სანიტარულმა  
კომისიამ—ქალაქის ექიმმა ბახუტაძემ,  
გამგებობის წარმომადგენელმა შტაბს  
კაპიტანმა ძოლოუბანსკიმ, ქალაქის ტენ-  
ნიკმა შითოევმა—ნაგულოვმა და მე-5  
ნაწილის პრისტავის თანაშემწემ სეი-  
მონაშვილმა—დილის 5 საათ. დაიწ-  
ყო მრეწვის მიედინდამ დათვლიერე-  
ბა ტრაქტორებისა, თევზის და ხილის  
დუქნებისა, საყახბოებისა, ფურნებისა  
და აღმოაჩინა დიდ-ძალი მოუკალავი  
ჭურჭლები საქმელებით, გაუუქმებელი  
ნესებები, საზამთრობები და სხვა ხილი  
80 ფუთამდე, ხორცი 30 გირვანქამ-  
დე. შემდეგ კომისიამ გასინჯა დახუ-  
რულს ბაზარში და მეტეხის ციხის  
ქვეშე სადგურებთან და ზუბალოვის  
ქარვასლებთან ფეხის-ადგილები, რომ-  
მელთა დანგრევებზედ შედგენილი იქ-  
მნა პროტოკოლები; მანამდის ზოგი  
დანგრეის და ზოგი დაბეჭდეს. შემ-  
დეგ კომისია გადავიდა 6 ნაწილში  
და დაღამების გამო სხვა დროსთვის  
გადასდო გასინჯვა.

### „დროების“ კორექსიონდენია

ს. ხორბა (სუგ. მას.). სოფ. ხორ-  
გა მდებარეობს მდ. ხობის ნაპირებ-  
ზედ და უჭირავს სიგრძით 30 ვერსტი  
და სიგანით 15; ბუნება და მდებარეო-  
ბა ამ სოფლისა სწორედ მშვენიერია.  
მცხოვრებთა რიცხვი 600 მეტია. სო-  
ფელი შესანიშნავია თავის ნაყოფიერი  
ნიდაგით: სიმინდი უხვად მოდის და  
ამიტომაც ხენა-თესვა მეტად გახშირე-  
ბულია. მცხოვრებნი ამ სოფლისა  
შედარებით სხვა სოფლების მცხოვრე-  
ლებთან (ზუგდიდის მაზრისა) უკეთეს  
მდგომარეობაში არიან. უკანასკნელ  
გლეხებშია იშვიათად ნახავთ წნული  
ჩალით დახურულ ქოხებს, სამაგიე-  
როდ ლამაზი ფიცრული სახლები  
ყავრით ან კრამიტით დახურულ-  
ნი მეტად გახშირებულია. ხალ-



ხის კეთილ-მდგომარეობა ამ სოფელში თან-და-თან მატულობს. მაგალითად, ადგილობრივმა საზოგადოებამ წარსულ წლის შემოდგომაზე გაიკეთა შოსე, შეიძინა საფეხური მაშინა და სხვ. სწავლა-განათლების სურვილმაც იჩინა თავი ამ ბოლო დროს ხორგაში. ადგილობრივმა საზოგადოებამ რაკი ნახა, რომ მათი შვილებისათვის სასოფლო სკოლა აღარა კმარა, მაშინვე შეუდგა ორ-კლასიანი, ნორმალური სასწავლებლის დაფუძნებას ხორგაში.

ამ საქმის შესახებ მომხდარ კრებაში, იენისში მდგომარე წლისა, სახლობო სკოლების დირექტორის დასწრებით, გარდასწყვიტეს შემოსენებული სკოლის დაარსება. დამტკიცებისათვის ხორგაში ორ-კლასიანი სასწავლებლისა, საზოგადოება პირობით შეეკრა ერთს პატიოსანს პირს (გლენთავან) სასწავლებლის სახლის აშენებაზე და ამ პირობა უნდა ჩააბაროს საზოგადოებას ახლი სექტემბრის დამლევს, რისათვის აღუთქვეს 1200 მან.

ამ საქველ-მოქმედო საქმეში დიდი შრომა მიუძღვის ბ. პახელა როსტომის-ძე ლიფონავას, რომელმაც პირველად აღძრა ხალხში ამ საგანზედ ლაპარაკი და დაბოლოებისთვისაც დიდი შრომა გასწია.

ხორგელი.

კატარა უმნიშვნა დ. კველი სენაკიდან

სწორედ რომ სასიამოვნო სურათია, როცა ჰხედავ ახალ-გაზდასა და მოხუცს, ქალსა და ვაჟს, რომელნიც კეთილ-შობილურ, მზრუნველობით და თანაგრძობით ფუსფუსებენ, ფათურობენ, გამვლელ-გამომვლელს ევედრებიან: ჩვენი მოძმე და საიმედო ახალ-გაზდა მალალ სასწავლებელში მიდის ჩვენი მამულისა და კაცობრიობის სასარგებლო სწავლის შესაძენად და გროში ჯიბეში არ უდევს, შევეწიოთ ზოგმა ფულით, ზოგმა წარმოდგენის გამართვით და ბილეთების გასაღებით. ჩვენდა სასიამოვნოდ, ამ გვარი საქმე თან-და-თან მოდაში შემოდის და პროვინციებშიაც ისეთს წრეებში ვრცელდება, რომელთაც წინედ სცენაზე გამოხვალა ღირსებისა და პატიოსნების შეურაცხყოფად მიანდით წინედ თავდა-აზნაურთა ქალბატონები და ქალები სასირცხოდ სთელიდენ სცენაზე გამოხვალას, ახლა კი სიამოვნებით დაამშვენებენ ხოლმე მას, როცა სცენა სწავლის შეძენას ემზადება. მგორი წელიწადია ხშირად გვესმის თუ ბათუმშიდამ, თუ სურამშიდამ, თუ ახალ-ქალაქშიდამ და თიანეთშიდამ, ლეჩხუმშიდამ და სხვა ჩვენი ქვეყნის განაკიდებშიდამ, რომ წერა-პითხვის გამარცხლებელი საზოგადოების სასარგებლოდ, ან გაჭირებული მოსწავლის შესწავლენად და სკოლის დასახმარებლად წარმოდგენა, ცირკი და სალიტერატურო საღამოები გაიმართაო: მეტად სასიამოვნო სურათს წარმოადგენდა დ. ძველი-სენაკის სწავლისადმი

თანამგრძობელი წრეც აგვისტოს 1-ს. ერთმა აქაურმა მანდილოსანმა (პ. ქ.) და რამოდენიმე პატიეცემულმა პირმა ბილეთების გასყიდვა იკისრეს საბაზროდ მოსულ და ადგილობრივ მცხოვრებთა შორის; პიესის წარმოდგენა თავს იღვეს კნ. მკატირინე აგიაშვილის ასულმა ღადიანისამ, კნ. მკატირინე მიქელაძისამ, ს. მიქელაძემ, ივ. მათარაძემ და აქაურმა სააზნაურო და სასოფლო სასწავლებლის მასწავლებლებმა, ამით დაეხმარენ ბ. ნ. ახვლედიანი, ბ. მათარაძე (პრისტავები) და ლაყენია (ადეოკატია). წარმოდგენის მოღირის თხზულება «ეკვით ავადყოფი», რომელიც რიგა ნად იყო აღსრულებული. წაიკითხეს სცენები და ლექსები; მაყურებელი კმაყოფილი წავიდენ. ჩვენ ამ სახელების ჩამოთვლით გვინდოდა ის სასიამოვნო ფაქტი შეგვეჩინა, რომ სრულიად სხვა-და-სხვა წოდებისა და წრის კაცებს მოუყარა თავი ახლად აშენებული სააზნაურო სკოლის დარბაზში იმ წმიდა საქმემ, რომელსაც სწავლა-განათლება და ღარიბ მოსწავლეთა შებრალება ჰქვია. ღმერთსა ვსთხოვთ, რომ ამ გვარი საქმე გახშირებულიყოს ჩვენ პროვინციათა დაბა-ქალაქებში. ზემოხსენებულნი პირნი დიდი მადლობის ღირსნი არიან და განსაკუთრებით კნ. მიქელაძის ასული, რომელმაც ერთი ფოსტის მანძილზე არ დაიხარა მოხვალა, ზოგიერთა პრანკია ახალგაზდა ქალებით სცენაზე გამოხვალა არ იუკადრისა და ახალგაზდა მოსწავლეთათვის სასარგებლოდ თეატრი დაგვიშვენა. მგვც სამაგალითოა ზოგიერთა ნაცარქეპია ქალებისათვის.

მთელი შემოსავალი 331 მანეთი იყო; ხარჯს 72 მანეთი და 35 კაპ. გადარჩა. აქედამ 50 მანეთი სტ. გ. ლ — შვილს გაეგზავნა და 22 მანეთი სტ. ბ. ჯ — ძეს.

ს. ე — ნი

წერილი სურამიდან

საზაფხულო სტუმრების რიცხვი წელს სურამში ერთობ მცირეა. რათა? რასაკვირველია, იმიტომ არა, ვითომც სურამს ჰავა შეეცვალოს, ან ცივი წყაროები დამშრალიყოს, ან გამაცოცხლებელი ცივი ნიავი აღარ ჰბერავდეს ძორტახიდან; არა, სურამის ბუნებაში, შედარებით წინა წლებთან, არავითარი ცვლილება არ მომხდარა, იგი ისევე სამოთხეა, ედემია მბილისთან შედარებით; ხოლო სურამის არე-მარეს წელს არ ახმაურებს სამხედრო მუსიკა კვლავინდებურად და აი მიზეზიც მისი დავრდომისა. მთურმე ნუ იტყვი, ვგ ჩვენი ეშმაკი ქალაქელები უფრო მუსიკას და «ვოენი კავალრებს» (მეტარე ქალები!) დასდევენ, ვიდრე ჰაჟას და ბუნებას. არ დაიჯერებთ, პოლკები რომ ახლა შარაიაში დააყენონ საზაფხულოდ, ქალაქელებიც იქ წაუღენ «დაჩაზე». მამუ სხვა რა ვიფიქროთ.

ღმერთმა მშვიდობა მისცეთ კი, რომ არ მობძანდენ. აქ ისეთი თავისუფლობაა. მის რა დააკლეს გარდა ვაჭრებისა. ამათ კი, ღვთის წყალობა გაქეთ, რომ ცხვირები ჩამოუშვეს და სახე დაიღრიჯეს; წელსაც, წინა წლებით წაქეზებულნი, ყოველის ფერს მამა-სისხლათ აფასებენ, მაგრამ უმუშტრობის გამო იძულებულნი ხდებიან დასწიონ ფასებს. პირ-იქით, ძალიან კმაყოფილი არიან აქაურნი და ახლო მდებარე სოფლებს: იტრიის და ჩუმა-მელეთის, გლენი. მართლაც, თურმე საშინლად სჯავრებია კამეჩს ფორმის ტანისამოსი; მისი დანახვა და გაგიყება ერთი ყოფილა კამეჩისთვის. არა ერთი და არა ორი მაგალითი გვიამბეს, რომ ძნის ურემში ბმულ კამეჩს დაუნახავს თუ არა თეთრ-ხალათა, თეთრ-ქულა სალდათი, დამფთხალა, გაგიყებულა, მიუმტვრევია ურემიც, პატრონიც, უღელიც, გაქცეულა ტყეში და მთელი კვირა ისე გადამთხვეულს უფლია, რომ თვით პავლოვსკიც ვერ მიეკარებოდა მას. რითი აიხსნება ამ გვარი სიძულვილი, გაუტანლობა ასეთი ღინჯი, დარბაისელი, ჰკვიანი ცხოველისა, მე ამის განხილვაში არ შევალ...

ამას თავი დავანებოთ და თქვენ ყურ-მოჭრილ მონას, ამ სტრიქონების დამწერს, სურს ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ აქაურ, ქართლის გლეხობაზედ, თუ, რასაკვირველია, თქვენი სურვილიც იქნება. აქ ამბობენ: ესა და ეს გლეხი დიდი შეძლების პატრონია, საკუთარი გუთანი უბია, ოთხ-უღელი ხარი ჰყავს, სამი ცხენი, ექვსი ძროხა — გვეუბნებიან აქაურები. მე კი გულში ვიცი, რა გაეხსენებ ჩიზისს. ჩიზისში ვინ დაუძახებს თავის დღეში კაცს შეძლებულს, თუ მას მთაზე რეას-ცხრაასი სული ცხვარი არა ჰყავს გაგზავნილი, ორას-სამასი სული ძროხა არა ჰყავს, ორმოცი — ორმოც-და ათი კამეჩი, ორსართულიანი ქვეთკირის კრამიტით დახურული სახლი არ უდგა, სამსა და ოთხს ურემს არ ამუშავებს ყოველთვის. ღა ასეთი ოჯახი-შვილებიც ცოტანი არ არიან ჩიზისში. იქნებიან იმდენივე, რამდენიც სამ-უღელა ხარებიანი ჩართლში...

მრთი კახელი ათს ქართლელს გაჰყიდის და მერე ისევე იყიდის, როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე. ჩიზისელი გლეხი რომ იმათში გაურიოთ, გლეხი კი აღარა, ამაყი, თავ-მომწონე თავადის-შვილი გვეგონებათ. ქართლელების გომებს ხომ კახელების მოწყობილობას ნუ შეადარებთ. მაგრამ რაც ქართლში ყველაზედ შესანიშნავი ყოფილა — ეს ვახლავთ ღვინო! აქაური ღვინო რომ კახელ კაცს აჩვენოთ, ვერ დააჯერებთ ვერას გზით რომ იგი ღვინოა და არა თურქულის წამალი. შერი აქაური ღვინისა ადგილი წარმოსადგენია მისთვის, ვისაც არა ჰქონია შემთხვევა ენახა. ბაკეთეთ ნაცარ-წყალი — აი ქართლის ღვინო. შესაზარავი ფერი აქაური ღვინისა ქართლელსაც არ გამოჰპარებიათ და რომ არ დაინახონ, ქიქალით, ანუ აქაურულად

კინქილით სმენ. სტაქანს იმგვითად მოიტანენ სუფრაზე. **საკვირველები** **საკვირველები** აქაურების აბუტობას...

— რა ვიცით, შენი ქირიმე, აბა რა ექნათ არის ყოველთვის ამათი სიტყვის პასუხი. რასაკვირველია, ჩვენ ის არ გვინდა ვსთქვათ, რომ ჩიზისის და ძახეთის ხალხი ძალიან განათლებული იყოს, მაგრამ იმას კი დაბეჯითებით მოგახსენებთ, რომ იქ უსამართლობა ისე ადვილად არ ჩაგივლით, როგორც აქ. ჩიზისელმა გლეხმა მაზრის უფროსიც იცის, ვინ არის, იმისი გვარიცა და ტომიც იცის; რა საქმეში მიჰმართოს იმას, რა შეგლას გამოელოდეს მისგან — სამართალი რა არის, მომრიგებელ-მოსამართლესთან როდის და რა საქმეზედ იჩივლოს...

— აბა, შენი ქირიმე, ჩვენ რა ვიცით, რა ექნათ, რა ვუყოთ, რომ ვიცოდეთ ჩვენთვისაც კი იქნებოდა, მაგრამ რომ არ ვიცით.

აი ქართლელი კაცის პასუხი. ამიტომაც არის, რომ აქ იმოდენა ადვოკატები არიან, როგორც არსად. აქ ისეთ ადვოკატებსაც შეხვდებით, რომელთაც არც რუსული იციან, არც ქართული. ორ სიტყვას თვით გლეხი-კაცი ვერ იტყვის სამართალში, სულ ადვოკატი უნდა ალაპარაკოს. ჩიზისელები ქართლში დიდიდამ პატარამდე სულ ყველანი ადვოკატებად გამოადგებოდენ.

ზავისხენებთ რა ყველა ამას, უნებლიედ მაგონდება ერთ დროს აღძრული მასლაათი ჩვენს ყურნალ-გაზეთებში რკინის გზის დიდს სარგებლობაზედ (\*). შუაგულზე რა ქართლსა სკრის რკინის გზა, სად არის მისი ყოველ-მხსნელი მნიშვნელობა. სად არიან ის საუნჯენი, რომელსაც უქადიდენ რკინის გზის თავკანის-მცემელნი. ზებედ-მებედების გემოზედ დაღინვა ადვილი მოსახერხებელია, მაგრამ მათდა სამწუხაროდ დაცინვით და მასხარობით დღეს ველარაგის გააკვირვებენ. ჩვენშიაც ჩაიღულის წყალი დალია იმ დრომ, როდესაც ოხუნჯობით დიდი მწერლის სახელის დამსახურება შეიძლებოდა. დიდი გამოჩინობა ქართლელი გლეხისა რკინის გზისაგან იმაში თუ ხიანს, რომ წელიწადში მანათ ნახევრის ხილს გაჰყიდის სტანციებზედ. ჩვენ თავის დღეში იმის თქმა არ გვინდა, რომ რკინის გზას სარგებლობა არავისთვის არ მოაქვს. ღმერთმა დაგვიფაროს ამ გვარი ხეზრობიდან. სარგებლობა არ არის, მა რა არის თბილისელ შემის ვაჭრებისთვის, რომ მთელი სურამის ტყეები, გადაჭრეს, ქალაქში ჩაზიდეს, დამდიდრდენ. რატომ არ იქნება იგივე რკინის გზა სასარგებლო ათიოდე დიდი მემამულეებისთვის... აი ეხლა ჩიზისი, ვსთქვათ, არის დღეს თავისთვის კმაყოფილი და, ავად არის თუ კარგად, პურიცა აქვს მადლითა ღვთისათა, ღვინოც გამოუღვევლი, ხო-

\* ამ საგნის შესახებ ავტორის აზრი უფრო საფუძველზედ აგებული მიგვაჩნია (იხ. მოწინ. შენიშვნა).



# ტელეგრაფები

ჩრდილოეთის სასაზღვრო ტელეგრაფები

აგვისტოს 13-ს.

**პეტერბურგი.** დიდი თავადი ნიკოლა - ს ნიკოლოზის-მე უფროსი გუშინ სამხრეთ რუსეთში გაემგზავრა სათადარიგო გაგზავრების ბრიგადების დასახელებად.

**შჩაპკოვო.** (რუს-აგსტრის საზღვარზე). რუსეთის იმპერატორისა და იმპერატრიცის მისაგებებლად ჩამოვიდნენ აქ გუშინ გარეშე საქმეთა მინისტრი გინსი, ელჩი ლობანოვ-როსტოვსკი, სამხედრო გენერალი, პოლკოვნიკი გაუბარსი, უწარჩინებულესი სამაქალაქო და სამხედრო შინაი განიხილისა და ის შინაი, რომელიც მათ დიდიუბლებათა განკარგულებას ქვეშე იქმნებოდა, აგრეთვე საზღვრო უსაფრთხოების აგსტრის იმპერატორისაგან რუსეთის იმპერატორის პოლიცია მუსიკით. გინსის მოსვლის დროს მუსიკამ დაუკრა მისაგებებელი მარში. გინსი მიესალმა აგსტრის წარჩინებულ შინაი და შექმნა გაემგზავრა დამხრეფისაგან.

**პრაგაში.** ორშაბათს საღამოს ჩამოვიდნენ აქ აგსტრის იმპერატორი და იმპერატრიცა. აუარებელი ხალხი აღტაცებით მიეგება მათ.

**ვენა.** ოფიციალური გაზეთი «Weiner Abendpost»-ი იწერებს, რომ აგსტრა-გენერალი გულომადის სიხარულით, ერთ-სულადიანად სიამოვნებით ეგებებოდა კრემლიერში იმპერატორთა შეხვედრას; ამასი ხედავან ისინი ხალხს საფუძვლეს მშვიდობისა და მომავლისათვის განმტკიცებას ამ მეგობრულ დამოკიდებულებისა, რომელიც აგსტრის რუსეთისა და აგსტრა-გენერალის მონაწილეს და ხალხთა.

**სიმლა.** გენ. მაკგრეგორი დანიშნულია ჰენჯის ჯარების სარდალად. ჯარებში, რომ მთელი ჯარი, რომელიც დაყენებულია ინდოეთ-ავღანის საზღვრებზე, ცალკე მთავარსარდალს დაქვემდებარება.

**პარიში.** საღამოს გაზეთების აზრით ის უკმაყოფილება, რომელიც საფრანგეთისა და ინგლისის შარის ასტყედან ოდითეუ ჰენის სიკვდილის გამო, სრულებით მოიხსნა ბრიტანის საელჩოს განმარტებით ამ საქმის შესახებ.

**ნიჰნი-ნოვოროსი.** მანუაქტურის საქონელი კარგად სდებოდა. აღისფერი ცილაები სულ გასაღდა თითქმის; ხშირი მიტკვარი ნაკლებად არის; ხელთ ნაქსოვი საქონელი კარგ ფასად გავიდა; ზოგიერთი დიდი სოფლები უდვილად უგანახებულ დეკებს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ფასებმა რა აიწია, მაშინ მოუხდათ გაჭრაბა; რკინა, თევზი და ბუნებრივი სიღებო; აზიის ბაზის ადგილ-მიტკვარს დაიწყო; თურქესტანის ბაზის აქრია-

ლო არა აქვს საკმაოდ და ნაირ-ნაირი «კრუჟეები», შლიაპები, ტურნიურები და სხვა ნაყოფი ცივილიზაციისა. ბი. ი. ხ-შეილი გვეუბნებოდა ერთხელ: ღვინოს თუ გაიტანს რკინის გზა, ის რად ავიწყდება მალაროვს, რომ სხვა რამეს კიდევ შეიტანსო. ღიდი მართალი აზრია. გაიტანს მას, რაც ფიზიოლოგიურ არსებობის მოთხოვნილებას შეადგენს და შემოიტანს ბაწრებს, ქალაქებს და სხვა უმნიშვნელო საგნებს, რომელიც ზევით დავასახელებთ. აი ამ მხრით არის საგანი სერიოზულად დასაკვირვებელი: მოგვეცემს მართლა იმის ფასს რასმე, რასაც გაიტანს. შულოს მოგვეცემსო. ბაისხენეთ მისინერის პროექტი. მრთ მილიონს უცაბედად იძლეოდა კაცი, აიღეთ გეთაყვა, მიერთეთ, ვისაც რამდენი გსურდეთო. მაგრამ იქმნა თუ არა მიღებული მისი პროექტი? არა. ორი შაური ქლიავზედ ან ვაშლზედ მოგებული რას შეადგენს?.

მინ ჰყოფს უარს, — რკინის გზას მოაქვს დიდი სარგებლობაც. თუნდ მითი, რომ იგი ააღვილებს მისელამოსელს, ჰმველის სწავლის გავრცელებას, ხალხი ხშირად ჰხედება ერთმანეთს, ერთი-მეორისაგან, უეჭველია, ისწავლიან რასმე; ეს ყოველი ერთობ თვალ-საჩინოა და ნურავინ შეიწყუნებს თავს მასზედ ზრუნვით, მაგრამ...

მაგრამ რას ჩამოგაცივდით ამ რკინის გზაზე. აბა ნობელს ჰკითხეთ ამ საგანზედ რას გეტყვით. მორჩა და გათავდა. ამ გვარი მუსაიფი «წერილში სურამიდას». ში! თქვენგან არ მიკვირს. თქვენ უეჭველად რამე კორებს მოელოდით, მერე ახალ-ახალ სურამულ კორებს. ინებეთ ესეც; ხოლო უნდა მოგახსენოთ, რომ აქაური კორები უფრო მართალსა ჰგებნან. შორი 1. ჩვენ შევიტყეთ, რომ აქაურ მს მ-ეს განგებ გაფუჭებული ლობე უფლია ბაღს და ვისიც უნდა ოთხფენი შევიდეს, მაშინვე მოაკლევინებს. შარშან ერთი აქაური მღვდლის ღარი მიუტომევია ამ ბატონს და ამ დღეებში კიდევ ერთი მედუქნის თხა. შევლა იძახის ეს უსამართლობაო, მაგრამ არ იციან, ვისთან-ღა იჩივლონ.

მეორე კორი... მაგრამ ეს დარჩეს სამერმეოდ, ვიდრე საქმე კარგად გამოირჩეოდეს.

მ. დაროკელი  
აგვისტოს 4-ს.

## უცხოეთი

◆◆ «Standard»-ის ბერლინელი კორესპონდენტი იწერებს: «ეს არის გაიგეფრიად სარწმუნო წყაროდამ, რომ კრემლიერში რუსისა და აგსტრის იმპერატორთა ერთმანეთის ნახვის შემდეგ — რუსის იმპერატორი ნახავს ბერლინის იმპერატორსაც. როდის მოხდება ამ უკანასკნელ იმპერატორთა შეხვედრა —

დაბეჯითებით არ ითქმის ჯერ, მაგრამ რომ ამათ ბერლინის მიწაზედ უნდა ნახონ ერთმანეთი — ამას დარწმუნებით ამბობენ. ამბობენ აგრეთვე, რომ ბირსი, — რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი, მარცინში ნახავს თ. ბისმარკს. მაგრამ ამ ცნობას, ჩვენის აზრით, დიდს სიფრთხილით უნდა მოგვეყროთ.»

◆◆ ავღანის საქმე თითქოს მიუყრდა ამ ბოლოს დროს, მაგრამ «Polit. Court»-ის ლონდონელ კორესპონდენტის აზრით ამ საქმეს ჯერ ისეთი მსვლელობა არ მიუღია, რომ სრულებით გულ-დაშვებულად ვუტკიროთ მასაო; ინდოეთში, ვიცე-კოროლის მახლობელი პირნი, მეტად შიშობენ, რომ რუსები ამ წლის დამლევამდის დაიპყრობენ ჰერათსაო. თუმცა მეორეს მხრით ღიდი-ბრიტანის მმართველობა ანუგეშებს ამათ, — თუ რუსები ჰერათისაკენ წამოიწევენ, ჩვენც შანდაპარს მივეშურებით და, იმედია, სანამ რუსის ჯარი ჰერათში შევიდოდეს, ჩვენი ჯარი შანდაპარში იქნება უკვე განმზადებულიო. ამ ცნობას «ნოკოსტი» თავის მხრით უმატებს, რომ ასეთი მუქარა მტრის დასაშინებლად, ცოტა არ იყოს, სასაცილოა. თუ კი რუსეთს აუცილებლად მიანდეს ჰერათისაკენ წასვლა, განა შეაჩერებდა მას გაზეთების მუქარა, რაც უნდა ოფიციალური იყენენ ისინიო...

◆◆ მეშვიდემ დღეშით აცნობებენ «Daily News»-ს შემდეგს ამბავს: «აქ ჩამოვიდა მერვიდამ ერთი სპარსელი სოციალური, რომელიც გვარწმუნებს, რომ რუსის ჯარში მოსამსახურე ორმა სპარსელმა რამდენიმე ავღანელი წაიყვანეს თან და ჰერათს გაემგზავრენ, რომ მოლაპარაკება გამართონ მიუბხანის მომხრეებთან.»

◆◆ მრთი რუსული გაზეთის სტამბოლელი კორესპონდენტი, სხვათა შორის, იწერებს აგვისტოს 1-ს: «ღრუმად მოლუს მომავალ კვირაში მოვლიან აქ. მსმალნი ძლიერ თავ-დაჭერილი არიან, რადგან ჰსურთ, რაც-კი შეიძლება, მომეტებული აიღონ იმ დახმარების მაგიერად, რომელსაც ინგლისი მოსთხოვს მათ. ღიად, — საქვეყნოდ გაიძახიან ისინი, — ჩვენ მზა ვართ მივიღოთ ყოველი გონიერი წინადადება ინგლისისაგან, ოღონდ-კი ეს წინადადება შესაფერი იყოს ჩვენთვის, სარგებლობა მოუტანოს ჩვენს ქვეყანასაო. ამ გვარად სჯიან ოფიციალურს წრეებში და გავლენიან გაზეთებშიაც. მაგრამ, უნდა გამოვტყდეთ, საქმით ოსმალნი ვერ ამტკიცებენ ესეთ პატივისცემას ინგლისისადმი. ამ რამდენიმე წლის წინად მსმალეთის მთავრობამ თავის ჯარის მმართველებად მოიწვია ინგლისის აფიცრები, და ეხლა, როცა ვადა სამსახურისა უთავდებთ ამ ინგლისელებს — პორტა აღარ ეკვრის მათ ახალის პირობით. ხონთქარი ისტუმრებს აფიცრებს და ამ დროს გერმანიელებს, რომელიც აგრეთვე მოწვე-

ული არიან მსმალეთში სხვა-და-სხვა თანამდებობაზე, დიდს მოწალებით ეპყრობა. აი, რამდენიმე მაგალითი იმისი, — განაგრძობს რუსული გაზეთის კორესპონდენტი, რომ რუს-მსმალთს შორის კეთილი განწყობილება: რუსის იმპერატორმა აჩუქა ხონთქარს საუცხოო ხალები თურქესტანის ხელობისა. ეს ხალები ამ კვირაში მიაღრთა ხონთქარს რუსის ელჩმა..


◆◆ ღიდი დღეარ დაუღდა მაჰდის მემკვიდრეს და მის წულს აბდულას სულანში. ამ ცოტა ხანში ხართუმში მოხდა აჯანყება და აჯანყებულებმა მისწულიც ბიძის კვალს გაუყენეს. ხალიფ აბდულას არა ჰქონდა სულანში იმდენად განთქმული სახელი, რამდენადაც ბიძა მისს მაჰდის — მაჰომედ-ახმედს, მაგრამ იგი იყო პირდაპირი მემკვიდრე და მოჯანყეთ სარდლებმაც თავიანთ უფროსად იცნეს. რაკი აბდულაც მოკვდა, ამიერიდამ სულანში ერთი კაცის ხელთ არ იქმნება ხელმწიფება, ბრძანებლობა; ანარქია აუცდენელია და, უეჭველია, ინგლისსაც გაუადვილდება ამ ქვეყნის «მორჯულება», მით უფრო, რომ თვით სულანელებსაც მოსწყინდათ ეს დიდი ხნის მოუსვენარი ყოფაცხოვრება.

◆◆ ბელგიური გაზეთის პეტერბურგელი კორესპონდენტი ჯერ ამ სამი თვის წინადაც იწერებოდა, რომ საფრანგეთისა და ჩინეთის შორის მშვიდობიანობის ჩამოღება ინგლისის საქმე იყო; ეხლა — იწერება იგივე კორესპონდენტი — დაბეჯითებით ამბობენ თითქმის ინგლის-ჩინეთის დაკავშირებაზედ.

◆◆ ბაზეთებში ეპოულობთ ნამდვილს ცნობებს მასზედ, თუ რამდენი იმხვევრბოა ჯერ-ჯერობით ამ წელს ხოლორამ მსპანიში. ორა თვის განმავლობაში, მას შემდეგ რაც ოფიციალურად გამოცხადებულა ხოლორის გაჩენა, გამხდარა ავად 150,000 კაცი; მომკვდარა 60,000. მადრიდში, მსპანიის დედა-ქალაქში, გამხდარა ავად 1,022 და მომკვდარა 657 კაცი. ამ უკანასკნელ ხანში უფრო მძაფრდება აქ ხოლორა.

◆◆ ჯოჯოხეთურად გამძაფრებული ხოლორა-კი არ ეყოფოდა მსპანიას, რომ ეხლა პოლიტიკური საქმეების არე-დარევაზედ არ დართოდა. მმართველობას დღითი-დღე უმცირდება სახელი, ეკონომიური ყოფაცხოვრება იმხობა და ამ დროს გადასახადს უმატებენ. ღღეს მეფისა და ამის მინისტრთა წინააღმდეგ არიან ისინიც-კი, ვინც ტახტის უერთგულესად მიანდათ. რესპუბლიკელებს მარჯვე დრო დაუღდათ და თავიანთ საქმეებს შესაძინევედ აწარმატებენ.





კისთესისას წლებადღეს მოკრეფილს 24,000 ფუტის მოკლადან მოსკოვში.

აგვისტოს 14-ს.

ლონდონი. სამხედრო უწყებამ ბრძანება გამოსცა სარეზერვო ჯარების დათხოვნის თაობაზე.

გუშინ მარკის საღისბურის მოლაპარაკება ჰქონდა სტალიანს და შემდეგ დიდის ხნით გაკეცაზარა თვის სასაფუძვლო საცხოვრებელში.

Times-ი იწერებს, რომ ზუღეობის საჩქე გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს; უნდა გაიზიაროს მხოლოდ ზოგადი წინადადება რამ, რაც საზღვრის ხაზს შეეხება.

შნაკმ. სწორედ დიდის 5 საათზე და 10 წამზე მოვიდა აქაურს ვოკალზე რუსის, ავსტრიის და გალიციის სახელმწიფო დროებით მართული რუსის სამხედრო მატარებელი. საპატო ვარაუდმა მაშინვე დაუგრა რუსული ნაწილის უდიდესი მათმა უდიდებულესობამ, სრულად რუსეთის ხელმწიფე იმპერატორმა ინიციატივას გამოხატა მატარებელი და ვისტრიულ ზოგადი მუნიციპალიტეტის, ავსტრიის უდიდესი მუნიციპალიტეტის, რუსის ვარაუდის ფორმისა და დ. თ. ვლადიმერ ალექსანდრეს ძე, ავსტრიულ ზოგადი მუნიციპალიტეტის, იმპერატორმა, რომელსაც წინ მიუძღოდა თვით ლაბორატორია, ჩაუბრუნა საპატო ვარაუდის ფორმის, რის შემდეგაც ფლადრეკციონის, ბარონ რამბერგმა, წარუდგინა ხელმწიფეს იქ შეფარვა. იმპერატორმა ინიციატივას ხელი მიუცა ვინტრუპერის ტერცოვისა, თ-დის ვინდმერცისა და იმპერატორის მოადგილე სალესის-თვის, და უკანასკნელი, ამას გარდა, დირსი გზად თვის დიდებულ ბასთან მოკლე ბასისა; შემდეგ დ. თ. ვლადიმერ ალექსანდრეს შემდგომ მისცეს ხელი გენერლებსა და იმპერატორის მოადგილეს. იმპერატორმა და სასახლის ქალნი მატარებელში ისხდნენ. შეთანხმდა საათის შემდეგ სამხედრო მატარებელი კრემლისკენ გაემართა.

მდებარეობი. 8 საათზე და 30 წამ. უკვე სტალიანს სტალიანს ჩამოვიდა აქ; სამხედრო მატარებელს გამოეცხადნენ სილვის ბრძანებით, მარკის ბაკევი და გერმანიის იმპერატორის სახელით—გენერალ-ადიუტანტი გრაფი ბრანდენბურგი. ხელმწიფე იმპერატორი გამოხატა მატარებელი და რამდენიმე სიტყვით მიმართა წინაშე მდებარე. ადგილებზე 12 წამა დაჭრა მატარებელს. მარკის ბაკევი გაჭრა სამხედრო მატარებელს.

კრემლი. შუადღეს ცოტა უკლებს, როცა აქ მოვიდა მთინი დიდებულნი, ხელმწიფე იმპერატორი და იმპერატრიცა სრულად რუსეთისა. იმპერატორი ფრანციოსკი და შემდეგ ბრინჯი რუდოლფი; ორივე რუსის ფორმაში გულისხმდე წავიდნენ მისაკეპლად. ორთავე ხელმწიფეთ ერთმანეთი ძალიან ტკბილად მიიღეს; იმპერატორები რამდენჯერმე გადასვიდნენ ერთმანეთს და დაჭრეს. ვოკალში კლავდა დიდებულ მოკლავროს იმპერატრიცა ულისაბედი, რომელმაც ტკბილად მიიღო ივინი გრემლი.

ბირჟა
პეტროპოლსკი აგვისტოს 13.
100 მანათის გურსი სამის
თვით ლონდონზე — 24 1/16 24 3/16 24 3/32
100 მანათის გურსი სამის
თვით ჰამბურგზე — 205 205 1/4 205
100 მან. გურსი სამის
თვით პარიზზე — 253 1/4 254 1/4 253 1/2
პოლიმპერიალიები — 8 მ. 22 მ. გუ.
ტამოუნის კუპონები — 8 მ. 22 მ. გუ.
ვესტის მანათი — 1 მ. 32 მ. გუ.
ბირჟის დისკონტი — 5 1/2 და 6 1/2 0/10
5% ბილეთები სახემწიფო ბანკისა 100 და
1000 მან. პირველი გამოცემისა — 99 მ. გუ.
მეორე გამოცემისა — 98 მ. 37 მ. გუ.
მესამე გამოცემისა — 97 3/4 მ. გუ.
მეოთხე გამოც. — 97 1/2 მ. გუ.
მეხუთე გამოც. — 97 3/4 მ. გუ.
5% აღმოს. სესხ. 100 და
1000 მ. პირვ. გამოც. — 97 მ. გუ.
მეორე გამოც. — 97 მ. გუ.
მესამე გამოც. — 97 მ. 37 მ. გუ.
5% მომგები ბილეთები
I შინაგანის სესხისა — 220 მ. გუ.
5% მომგები ბილეთები
II შინაგანის სესხისა — 212 3/4 მ. გუ.
ოქროს რენტა — 173 1/4 მ. გუ.
თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ.
ფურცლები — 43 წ. 88 მ. გამუ.
ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. 18 წ. 91 მ. გამუ.
43 წ. 89 მ. გამუ.

სადავოს, ლუბერ. სეკრეტის მეუღლის ოღლა თეოდორეს ასულისა. ორ სართულიანი ქვითკირის სახლი და ორი ორ სართულიანი ქვითკირი, 114 ოთხ-კუთხიანი საყენი მიწით. ქ. თბილისის 1 განუ. 1 ნაწ. მატარებლის ქუჩაზე; პირველი სართული 7 ოთახი ორი სამზარეულოთი, მეორე სართული 12 ოთახი. ორი სარდაფი. სახლს აქვს ორი მისაველი. თანე ვალია 16,628 მან. 53 კ., შემოსატანი 868 მან. 60 კ. სულ 17,497 მან. 13 კ. ვაჭრობა დაიწება 17,497 მან. 13 კ.

გაზარბიეების, გიორგი და დავით ალექსანდრეს ძეთა. ორ სართულიანი ქვითკირის სახლი, 217 ოთხ-კუთხიანი საყენი მიწით, ქ. თბილისის 1 განუ. 3 ნაწ. ვანქის ვიწრო ქუჩაზე; პირველი სართული 11 ოთახი ორი სამზარეულოთი, მეორე სართული 11 ოთახივე, ორი სამზარეულოთი და 4 ოთახიანი მეზონით, სახლს აქვს ორი მისაველი და შემორტყმულია ფიტრულით. თანე ვალია 18,845 მანეთი 66 კ. შემოსატანი 983 მან. 8 კ.—სულ 19,828 მან. 74 კ. ვაჭრობა დაიწება 19,828 მან. 74 კ.

მადავოს, კოლეჯ. რეგისტრატ. მეუღლის მარიამ დიმიტრის ასულისა. ოთხი ქვითკირის სახლი: სამი ორ სართულიანი ერთი ფლიველით და ერთი ერთ-სართულიანი, მიწა ზომით 958 ოთხ-კუთხ. საყ ქ. თბილისის 1 განუ. 6 ნაწ., ტამოუნის ქუჩაზე. თანე ვალი 43,873 მან. 1 კ. შემოსატანი 2,299 მან. 60 კ. სულ 46,172 მან. 61 კ. ვაჭრობა დაიწება 46,172 მან. 61 კ.

ჩიგანისა, კოლეჯ. სეკრეტის ალექსანდრე სტეფანეს ძისა. საბაღე ადგილი ზომით 5600 ოთხ-კუთხ. საყ ქ. თბილისის 1 განუ. 9 ნაწ. № 677, ტამოუნის ქუჩის ქვემოლ. თანე ვალია 3,117 მან. 44 კ. შემოსატანი 172 მან. 18 კ. სულ 3,289 მან. 62 კ. ვაჭრობა დაიწება 3,289 მან. 62 კ.

თუმანოვისა, ალექსანდრეპოლის მცხოვრების სიმონ თომას ძისა. ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი, სართულიანი ფლიველი ხეხილიანი ბაღი და აუზი, მიწა ზომით 241 ოთხ-კუთხ. საყ ქ. ალექსანდრეპოლის 7 ნაწილში, გუმბრიხის ქუჩაზე; სახლი და ფლიველი 7 ოთახი ორი სამზარეულოთი და საკუქნათი. თანე ვალია 3,695 მან. 22 კ., შემოსატანი 462 მან. 3 კ.—სულ 4,157 მან. 25 კ. ვაჭრობა დაიწება 4,157 მან. 25 კ.

ბ. სოფლის მამულები:

მადავოს, კოლეჯ. რეგისტრ. მეუღლის მარიამ დიმიტრის ასულისა. სახნაფი, სათიბი, საბაღაზო ადგილები, ხეხილი და ვენახიანი ბაღები და ტყე ზომით 2,868 დესეტინა 562 ოთხ-კუთხ. საყ ქ. თბილისის გუბ. და მარაში სახელდობ: სადახლო, ჩოჩქანი, ქვემოწოპი; ტობლიკილისა, არაბატალა, ფალიანი თაქიანი, ლალიტალა, ხუჯაბა, ლიალვარის საძოვარი, ქუდიბანა, დაჩები არაბატალა და გულიბალი თანე ვალი 47,675 მან. 11 კ. შემოსატანი 2,130 მან. სულ 49,805 მან. 11 კ. ვაჭრობა დაიწება 49,805 მან. 11 კ.

მელიქ შინაზარეულისა, შუშის მცხოვრებთა: კონსტანტინე, პეტრე, და პავლე დიმიტრის ძეთა და მარგარიტა კარავტას ასულისა სახნაფი და საძოვარი ადგილები ზომით 950 დესეტ 275 ოთხ-კუთხ საყ., ქ. ელიზავეტოკოლის გუბერნიის და მარის კარაჩხის დაჩაში. თანე ვალი 19,555 მან. 39 კაბ. შემოსატანი 1766 მან. სულ 21,321 მან. 39 კ. ვაჭრობა დაიწება 21,321 მან. 39 კ.

შაღავოს, ქვითკირი კენინა ეკატერინე პატას ასულისა. სახნაფი ადგილები და ტყე ზომით 130 დესეტ. ქ. თბილისის გუბერ. და სიღნაღის მარაში სოფელ ვეჯინს, გურჯანს და ნაურთალს. თანე ვალი 3,761 მან. 65 კ. შემოსატანი 175 მან. 36 კ. სულ 3,937 მან. 1 კ. ვაჭრობა დაიწება 3,937 მან. 1 კაბ.

პაქსაძისა, აზნაურის იოსებ დავითის-ძის. საბოსტნე ადგილი შენობა-ბეგით, ზომით ადგილი 7 დეს. 1843 ოთხ-კუთხი საყენი, თბილისის გუბერნიისა და მარაში, თანე ვალი 4871 მან. 82 კ., შემოსატანი 292 მან. სულ — 5,093 მან. 92 კ. ვაჭრობა დაიწება 5,093 მ. 92 კაბ.

ერისთავისა, თ-დის იოსებ დავითის-ძის. საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 183 დეს. 1920 ოთხ-კუთხი საყენი, თბილისის გუბერნ., თიონეთის მარა სოფ. ბოქორმაში. თანე ვალი 2,000 მან. შემოსავალი 63 მან. სულ 2,063 მან. ვაჭრობა დაიწება 2,063 მან.

ვაჭრობა დაიწება ყოველ მამულზე იმ ჯამიდან, რომელიც ნაჩვენებია. ვაჭრობის მსურველნი მოვალენი არიან წარმოადგინონ ბანკის კასაში ათი % ამ ნაჩვენების ჯამისა. მოვაჭრეთ შეუძლიან აღნიშნულზე ნაკლები ფასიც წარმოადგინონ, მაგრამ ამ შემთხვევაში გასყიდვის დამტკიცება დამოკიდებული იქნება გამგეობაზე.

ვაჭრობა მოხდება ქ. თბილისის ბანკის სადგურში. ვაჭრობა დაიწება 12-დამ და გათავდება ნაშუადღევს 3 საათზე, —ვისაც ჰსურს ნახოს ხსენებული ქალაქის ან სოფლის მამულები შეუძლიან ადგილობრივ დახედოს ისინი, საბუთები-კი ნახოს ბანკის გამგეობის სამწერლოში მუდამ დღე, გარდა კვირა უქმისა დილის 11-დამ ნაშუადღევს 1 საათამდე

თბილისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ბანკის წესდებისმე 21 § ძალით ამა 1885 წლის ენკენისთვის 4 სავაროდ გაისეიდება ქვემო ჩამოთვლილი ქალაქისა და სოფლის მამულები, რომელნიც ამაგს დარჩნენ.

ა. მალაქის მამულები

ბერძენოვისა, ძოლევესკის ასესორის ქვითკირის დარია გიორგის ასულისა, ორ სართულიანი ქვითკირის სახლი, ადგილი ზომით 110 ოთხ-კუთხი საყ., 7 თბილისის, 1 განუ. 1 ნაწ., მოსკოვის ქუჩის შემოდ: პირველი სართული 6 ოთახი ორ სამზარეულოთი, მეორე სართული 5 ოთახი ორი სამზარეულოთი; ორი სარდაფი, ერთი ხის სარაია; სახლს ერთი მისაველი კარები აქვს, ეზო შემორტყმულია ფიტრულით, —თანე ვალი 6,651 მან. 41 კაბ., შემოსატანი 353 მან., 44 კ.—სულ 7004 მან. 85 კ.—ვაჭრობა დაიწება 7004 მან. 85 კაბ—დამ.

ბარათა შვილისა, თ-დის ნიკოლოზ გრიგოლის ძის. ორი თითო სართულიანი ხის სახლი, ადგილი ზომით 1382 ოთხ-კუთხი საყ ქ. თბილისის, მე 6 მორონცოვის განკოფ; 1 ნაწილ. ძველი დამოქმდის მახლობლად. პირველი სახლი შეადგენს სამს ღუქანს, მეორე კი 11 ოთახს ორის სამზარეულოთი, ქვითკირის თაველით და სარდაფით, ეზო შემორტყმულია ქვითკირის ვალაენით, —თანე ვალი 8,399 მან. 77 კ. შემოსატანი 439 მან. 30 კ.—სულ 8,839 მან. 70 კ. ვაჭრობა დაიწება 8,839 მან 70 კ-დამ.